აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის

01 ოქტომბერი, 2019 წელი | განკარგულება № 7 | ბაბა ჩაქვი

საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს მრჩეველთა საბჭოს წევრობის - მრჩევლობის კანდიდატთა შესარჩევი საკონკურსო კომისიის შექმნისა და მრჩევლობის კანდიდატთა სიის გამოქვეყნების შესახებ

„მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის 35[5] მუხლის მე-4 პუნქტის და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტის მე-19 მუხლის მე-2 პუნქტის „პ“ ქვეპუნქტისა და 143-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად,

1. შეიქმნას საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს მრჩეველთა საბჭოს წევრობის - მრჩევლობის კანდიდატთა შესარჩევი საკონკურსო კომისია შემდეგი შემადგენლობით:

ა) ერმილე მესხია - საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის პროფესორი, განათლების, ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი;

ბ) ლევან გობაძე - არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი ახალგაზრდა მეცნიერთა კავშირი „ინტელექტი“-ს გამგეობის თავმჯდომარე;

გ) ლევან ჯაყელი - საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი, ასოცირებული პროფესორი;

დ) ასლან ლორთქიფანიძე - საჯარო სამართლის იურიდიული პირის - აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სავაჭრო-სამრეწველო პალატის თავმჯდომარის მოადგილე, აჭარის დამოუკიდებელ ექსპერტთა კავშირის თავმჯდომარე;

ე) მანანა შარაშიძე - ხელოვნების, მასმედიის, კულტურულ - საგანმანათლებლო დაწესებულებების, სპორტისა და ტურიზმის მუშაკთა პროფესიული კავშირის აჭარის რესპუბლიკური საბჭოს თავმჯდომარე .

2. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს ოფიციალურ ვებგვერდზე გამოქვეყნდეს საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს მრჩეველთა საბჭოს წევრობის - მრჩევლობის კანდიდატთა სია.

3. ეს განკარგულება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე და გამოქვეყნდეს საჯაროდ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს ადმინისტრაციულ შენობაში და ოფიციალურ ვებგვერდზე.

უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე | დავით გაბაიძე

საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს მრჩეველთა საბჭოს წევრთა - მრჩეველთა კანდიდატურების შესარჩევ ღია კონკურსში მონაწილეთა სია

1. ბეჟან გობაძე
2. თამილა დოლიძე
3. გელა ღოღობერიძე
4. რუსლან ბარამიძე
5. ფირუზ ბოლქვაძე
6. სოფიო კობალაძე
7. დიანა ვაშაყმაძე
8. ევგენი თავდგირიძე
9. ლევან ქამადაძე
10. სოსო სტურუა
11. სტელა ახვლედიანი
12. ირაკლი ანთიძე
13. რაულ ბერიძე
14. ნიკოლოზ მეგრელიშვილი
15. როინ სურმანიძე
16. ნათია სირაბიძე
17. გიორგი გოგიბერიძე
18. კონსტანტინე აბაშიძე
19. გია ქარცივაძე
20. ემზარ დიასამიძე
21. თამარ წილოსანი
22. გიორგი წულაია
23. არჩილ ხახუტაიშვილი